№ 204 სექტემბერი 24, პარასკევი 1893 სექტემბერი 24, პარასკევი № 204

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

გაზეთი ღირს. ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

## ტფილისი

23 სექტემბერს

—

გერმანიაში ერთი ფრიად საყურადღებო კანონის შემოღება განუზრახავთ. ამ ახალის კანონის ძალით სამსჯავროსაგან განთავისუფლებულს ბრალდებულს უნდა უზღონ ყოველი ზარალი, რომელიც უსამართლოდ დაპატიმრების გამო მოუვიდა.

ასეთი განზრახვა გერმანიის მთავრობისა, უთუოდ, დიდის თანაგრძნობით იქნება მიღებული საზოგადოებისაგან, რადგანაც დაჯილდოვება ადამიანისა, რომელსაც არავითარი დანაშაული არა აქვს და რომელიც ხშირად უხეირო გამოძიების წყალობით დაზარალდება და გაუბედურდება, რა თქმა უნდა, ამისთანა ადამიანის ცოტათი მაინც ნუგეშის ცემა ყოვლად მოსაწონი და სამართლიანი საქმეა.

ქონებრივის ზარალის აღდგენა გამართლებულის ბრალდებულისათვის განუზრახავს პროექტის ავტორს და, ესეც რომ არ იყოს, ამას კიდევ გაუძლებს კაცი, მაგრამ რა გვარი სასყიდელი მიეცეს იმ კეთილშობილსა და პატიოსან კაცს, რომელიც გამოძიებამ შეცდომით გაჰხვია საქმეში, რომლის უმანკო სახელი შებღალულ იქნა სამუდამოდ, და რომლის მთელი ცხოვრება ამის გამო, იქნება, სულ უკუღმა დატრიალდა. ამ გვარად დასჯილის კაცის დაჯილდოვება ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ ამისთანათა ბედი პროკურორის და გამომძიებლის კეთილ-გონიერებაზეა დამოკიდებული. კარგია, თუ ეს სამართლის დარაჯნი შეჭურვილნი არიან სიბრძნით და უმაღლესის სინიდისით, თორემ, ავი თქვენი მტერია, ავი საქმე ბრალდებულს მოელის: გასვრიან, გალანძღვენ, შემდეგ გაამართლებენ და გაუშვებენ ღვთის ანაბარად. ბრალდებულმა იმისთვისაც ღმერთს მადლი უნდა შესწიროს, რომ არ დაჰკარგეს ან არ დაარჩვეს, თორემ ზნეობით დაკმაყოფილებას ვინ იჩივლებს, ვინ იფიქრებს!

ასეთი საეჭვო და სახიფათო მდგომარეობა ყოველის საზოგადოების წევრისა, რასაკვირველია, სამწუხაროა, მაგრამ რა უნდა მოუხერხდეს ამ საქმეს, ამას უთუოდ ჩვენი სამართლის მცოდნენი გვეტყვიან.

ჩვენ-კი მანამდის ამ საგნის მეორე მხარეს გვინდა შევეხოთ.

კანონი, რასაც იბებს და დაავალებს საზოგადოებას—ამას ხომ წინ არა უდგას-რა, მაგრამ ჩვენ ერთი არ გვესმის: რომელი მართლმსაჯულება და საქმის ახსნის საჭიროება მოითხოვს, სანამდის ბრალდებული დამნაშავედ ცნობილი იქმნებოდეს სამსჯავროსაგან, მანამდის ყოველი უპატიურობა და სატანჯველი გამოარონინონ, ისედაც, იქმება, გულ-მოკლულსა და უსამართლოდ შეპყრობილს კაცს?

რაკი გამოძიებამ საჭიროდ დაინახა, რომ ბრალდებული შეპყრობილ იქნას, იმ დღიდგან ახდიან ყოველსავე ღირსებას და ნამდვილ ქურდსა და ავაზაკსავით მოეპყრობიან. ასეთს, გამოძიებაში ჩავარდნილს კაცს, ამწყვდევენ საპყრობილეში, ართმევენ ტანისამოსს, საცვალს, ლოგინს, სუფთა და ჯან-მთელს სასმელ-საჭმელს, თამბაქოს, ღვინოს და ყველაფერს, რაც-კი ამა თუ იმ კაცისათვის აუცილებელი საჭიროებაა.

ამ გვარად კაცის მდგომარეობის გამოცვლა ჲ ერთის თვალის დახამხამების უმალ ძირიანად შერყევა მთელის მისის ცხოვრების წესისა, ჩვეულებისა, მოთხოვნილებისა და პატივისა, ცხადია, ყველაზედ ერთნაირად არ იმოქმედებს. ზოგი იტანს ყოველს ამას და ზოგი, თუნდაც რომ განთავისუფლოს სამსჯავრომ, მაინც საუკუნოდ უბედურდება.

ჩვენ არ გვგონია, რომ ეხლანდელი ბრალდებულის მოპყრობის წესი ან დანაშაულობის აღმოჩენას ჰშველოდეს, ან თავის თავად სამართლიანი დამოკიდებულება იყოს ადამიანისადმი. სასურველი იქნებოდა, სანამდის სამართალს თავის მსჯავრი არ წარმოუთქვამს და ბრალდებული დამნაშავედ არ უცვნია, მანამდის არ მოაკლდეს არც პატივი და არც ჩვეულებრივის ცხოვრების წესი, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს თავისი საკუთარი ღონისძიება აქვს. სამსჯავროს განაჩენის დადგენამდის ადამიანის ღირსების აყრა არც სამართლიანი საქმეა და არც საჭიროა.

მეველე

---

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

სექტემბრის 22-ს ტფილისის სამხედრო საავადმყოფოში ხოლერით გარდაიცვალა ერთი ჯარის-კაცი.

გუშინ დილით ტფილის ხოლერით ავადმყოფი არავინ იყო.

ერევნის გუბერნია

ერევნის მაზრის სოფელ ელენოვკაში სექტემბრის 15 და 16-ს ხოლერით გარდაიცვალა ორი კაცი, რომელნიც ალსტაფიდგან დაბრუნებულან სექტემბრის 14-ს. დეზინფექცია მოახდინეს ბაკებში, სადგურში და აქაურ სასწავლებელშიაც.

---

## ახალი ამბავი

—

*** ორშაბათს, 27 სექტემბერს, ქალაქის საბჭო განიხილავს სარჩიელს ხმოსან ხუდადოვისას შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა გაშენდეს ტყეები ტფილისის მიდამოებში.

*** წარსულს კრებაზედ ქალაქის საბჭომ უარი უთხრა მადერის მემკვიდრეებს ქუჩის გაყვანის თაობაზედ, რომელიც გაივლის მათ მამულზედ შესაერთებლად მიხეილისა და „ნაბერეჟნის“ ქუჩისა და რომელსაც სიგანე იქმნება ხუთი საჟენი. საბჭოს სურვილია, რომ ექვს საჟენზედ ნაკლები სიგანე არა ჰქონდეს ახალს ქუჩას. დღეს მემკვიდრენი ხელ-მეორედა სთხოვენ ნება-რთვას ხუთ საჟნიან ქუჩის გაყვანისას. ამაზედ განიერ ქუჩის გაკეთება ეხლა აღარ შეგვიძლიანო, რადგან მამული კიდეც გავიყავით ურთიერთაშორისო; ზოგმა ჩვენგანმა კიდეც გაყიდა მამული სხვაზედ და ეს სხვები შეუდგნენ სახლების აგებასაცო. სიგანე რომ მოემატოს ქუჩას, მაშინ გაყოფილი მამულები ისე დაპატარავდება, რომ ფასი აღარ ექმნებაო.

*** ახალქალაქის მაზრიდგან იუწყებიან, რომ სექტემბრის თთვის ნახევარში იქ თავი უჩენია სახადს და სოფ. ეფრემოვკაში თორმეტი კაცი გამხდარა ავად, რომელთა შორისაც ერთი გარდაცვლილა, ერთი განკურნებულა, ხოლო დანარჩენი ათი ისევ ავად არის. ამ სენის მოსასპობად ადგილობრივ მაზრის ექიმის მიერ ყოველგვარი საშუალება იქმნა მიღებული.

*** ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსთან აგერ რამდენიმე წელიწადია არსებობდა საეკკლესიო სამრევლო სასწავლებელი, რომელშიაც საავადმყოფოში მოსამსახურეთა შვილები სწავლობდნენ. სასწავლებელი იმყოფებოდა საავადმყოფოს ეზოშივე, კოტრინის სახლში. ამას წინად ამ სახლს ცეცხლი მოეკიდა და დაიწვა. ამის გამო კოტრინიმ თავისი სახლი აღარ დაუთმო სასწავლებელს და მღვდელი საავადმყოფოსი მამა კარბელიშვილი იძუ ებული იყო სასწავლებელი გაეუ მებინა.

წრეულს ორმოცამდე ყმაწვილი, ქალი და ვაჟი, სრულიად მოაკლდნენ სწავლას და იმათ მშობლებს-კი იმდენი შეძლება არ მოეპოვებათ, რომ სხვა სასწავლებელში მიაბარონ. თუმცა ბევრს ეცადა მამა კარბელაშვილი და ერთ გზის მიჰმართა საავადმყოფოს მმართველობას, სადგომი დაგვითმეთ სადმე, რომ

---

## ფელეტონი

—

### უბანი „ნაძალადევი“

მკითხველს ეხსომება, რა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პოლიციის მოქმედებამ შესახებ იმ ახალშენთა, რომელთაც დაიჩემეს ქალაქის ადგილები და ზედ გაიკეთეს პატარ-პატარა ქოხები თავიანთ საცხოვრებლად. პოლიციამ დააქცია ათიოდე ასეთი ქოხი, თავშესაფარი მთელის ოჯახებისა, და ჯერი იყო მიმდგარი დანარჩენ ქოხებზედ, რომელთა რიცხვი, როგორც აღმოჩნდა, სამასს აღემატებოდა. შეშინებულებმა დაზარალებულ მოსახლეთა ბედით, ამ დანარჩენებმა მიჰმართეს ერთის მხრივ ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს და მეორეს მხრივ ქალაქის გამგეობას თხოვნით. ბ-ნმა გუბერნატორმა უბრძანა პოლიციას, რომ აშენებულს ქოხებს თავი დაანებეთ და შემდეგისთვის-კი თვალი დაიჭირეთ, რომ სხვებმა აღარ ააშენონ ქალაქის დაუკითხავად ახალი ქოხები, ვიდრე ქალაქის თვით მმართველობა არ დაადგენს თავის განაჩენს, როგორც შესახებ დაჭერილ მამულებისა, აგრედვე შესახებ დაუჭერლებისა, რომელთაც გამოუჩნდებათ მუშტარიო.

ამ სახით, შიში და კანკალი, რომელმაც აიტანა ახალშენები საქალაქო ადგილის დაჭერისა გამო, დროებით შეჩერდა ბ-ნ გუბერნატორის განკარგულების წყალობით, თუმცა-კი ამ ზაფხულსვე გაისმა ხმა, რომ ქალაქის გამგეობა ძლიერ წინააღმდეგია ამ ახალშენებისა და ამზადებს მოხსენებას საბჭოსათვის, რომელსაც ურჩევს, რომ არავითარს შემთხვევაში არ დაუთმოს დაჭერილი ადგილები ახალშენებსაო.

ჩვენ ჯერ დაჯეშმარიტებით არ ვიცით, რამდენად მართალია გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომც ქალაქის გამგეობას ასეთი ულმობელი მოხსენება დაემზადებინოს საბჭოსთვის, მხოლოდ ის-კი ბეჯითად გვესმის, რომ ამ შემოდგომაზედ საბჭომ უთუოდ უნდა განიხილოს ეს საქმე და ან ეხლავ დაადგინოს თვისი უკანასკნელი განჩენი, ანუ ამოირჩიოს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს ვითარება ქალაქის ცარიელ მამულებისა და წარუდგინოს საბჭოს თვისი მოსაზრება, თუ როგორ უნდა იქმნას დაყენებული ამ მიწების საქმე შემდეგისათვის.

ამის გამო ურიგოდ არ მიგვაჩნია, ვიდრე ხსენებული ამბავი წარსდგება წინაშე ქალაქის საბჭოსი, ტფილისის გაზეთები დაეხმარნენ ჩვენს თვითმართველობას და შეძლების გვარად აღნიშნონ გზა, რომელსაც უნდა დაადგნენ ქალაქის წარმომადგენელნი ამ რთულის საქმის გამორკევაში, რადა დაცული იქმნას როგორც ინტერესი თვით ქალაქისა, აგრეთვე ინტერესი იმ სამას მოსახლეთა, რომელთაც უკანასკნელი ცალი ფულიც-კი გასწირეს, რომ როგორმე საკუთარ ჭერ ქვეშ ამოესუნთქნათ. ამასთანავე უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ გარდა ამ სამასის მოსახლისა არიან მრავალნი, რომელნიც დიდის სიხარულით გაიკეთებდნენ საკუთარს ბინას, თუ-კი ქალაქი ან გაყიდვით ანუ მსუბუქის იჯარით დაუთმობდა მათ მიწებსა.

**

უბანი, სადაც დასახლდნენ ხსენებული ახალშენები, დღეს საკუთარის სახელის პატრონიც შეიქმნა. მას რუსულად ეძახიან „ნახალოვკა-“ს, ხოლო ქართულად-კი უფრო უკეთესი სახელი უწოდებიათ—უბანი „ნაძალადევი“. პირველი სახელი საშინლად ამცირებს მოქმედებას დასახლებულებისას, რადგანაც იგი შეეხება მათს სინიდისს, ხოლო მეორე სახელი-კი მართალია სინიდისს არა სცხებს არავითარს ჩირქს, მაგრამ მაინც მოასწავებს თვით-მნებელობას.

მართლაც-და, რას ვხედავთ ახალშენთა მოქმედებაში?—ქალაქს ცარიელი მიწები აქვსო, ჩვენ არა გვაქვს საკუთარი სახლ-კარი და ამასთანავე ქალაქის შვილები ვართო. რა-კი ქალაქი ნებით არ გვაძლევს სამოსახლო ადგილებს, ძალით დავიჭიროთ, რომ ეგება მაშინ მაინც უარი არ გვითხრას თავის მამულებზეო.

საკუთრების უფლებას რომ გამოვუდგეთ, უნდა აღვიაროთ, რომ საქციელი ახალშენებისა არ არის კანონიერი. მიზეზიც სწორედ ეს უკანონობა იყო, რომ პოლიცია გამოესარჩლა ქალაქის თვით-მმართველობას, როგორც დაჩაგრულს პატრონს დაჩემებულის მამულებისას. ქალაქის გამგეობასაც, რა-კი ასეთის თვალით შეჰხედა საქმეს, უფლება ჰქონდა მიემართნა კანონისთვის და ეთხოვა სათანადო დახმარება—როგორ თუ ჩემს დაუკითხავად დაიჭირა ვინმე ქალაქის ადგილებიო! ვის რა ხელი ჰქონდა მოწყობილიყო ჩემს მიწაზედ წინააღმდეგ სრულის ჩემის სურვილისა და ნებართვისაო! ვის რა დავა აქვს, რომ ჩემი მამული გამოუყენებლივა ჰგდია—მე ვარ და ასე ვტოვებ ჩემს მთასა და ბარსაო.

ასეთი თვალთა ხედვის ისარი რომ დავიჭიროთ ხელში, რასაკვირველია, ვერავინ გაამტყუნებს ვერც გამგეობას, ვერც კანონს და ვერც მის აღმასრულებელს პოლიციას, რომ საკუთრების უფლება ქალაქის თვით-მმართველობისა დაცულ იქმნას, და, რა თქმა უნდა, რომ ახალშენებს არავითარი უფლება არა ჰქონდათ პატრონის ნება-დაურთველად დაეჭირნათ მისი ადგილები. მაგრამ ამ საქმეს სხვა მხარეცა აქვს და დღეს ჩვენი სურვილია ამ მხარეს მივაქციოთ სრული ყურადღება როგორც ქალაქის თვით-მმართველობისა, ისე მკითხველ საზოგადოებისაც.

თავი და თავი საკითხი ამ საქმეში არის შემდეგი: რამ აიძულა ეს ამდენი ხალხი, რომ ადგა და, წინააღმდეგ კანონისა, დაეპატრონა სხვის საკუთრებას, მერე ისიც ომიანობის დროს-კი არა, სრულს მშვიდობიანობაში? ამისთანა დროს შეიძლება თითო-ოროლა გამოჩნდეს თავზე ხელაღებული კაცი, რომელიც ჰმოქმედობს

სასწავლებელი მოვათავსოთო, მაგრამ უარი განუცხადეს, ადგილი არა გვაქვსო. საავადმყოფოს ზედამხედველის სახლთან კარგა დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბაღს, რომელიც ავადმყოფებისთვის იყო წინად დანიშნული, ეხლა-კი ამ ბაღში ავადმყოფებს აღარ უშვებენ. კარგი იქმნებოდა, რომ ამ ბაღის ადგილას შენობა აეგოთ და აქ მოეთავსებინათ სასწავლებელი. ეს შენობა არც იმდენად ძვირად დაჯდება, რომ საავადმყოფოს გაუჭირდეს მისი აგება. სასწავლებლის სადგომის ქირად წელიწადში აქამდე 200 მან. იხდიდნენ და სამის წლის ქირა—600 მანეთი რომ დახარჯონ, სამუდამო შენობას აიგებდნენ.

*** ოქუმი (აბხაზეთი): გუშინ, თექვსმეტ სექტემბერს, შეიბყრეს ციმბირიდგან გამოპარული ავაზაკი, ნიკო მარღანია, რომელიც ცხრა წელიწადია, რაც ჩვენში იმალება.

*** იქიდამვე: წელს სიმინდის მოსავალი ჩვენსკენ შუათანაა. „ადესა“-ს კარგად ასხია, თუ დამწიფდა. გზა-ტკეცილს გვიკეთებენ, მაგრამ გზის გასაკეთებლად შეწერილმა ცხრა-ცხრა მანათის გადახდამ კომლზე ძალიან შეგვავიწროვა. ქურდობა, ჩვენდა საუბედუროდ, არ იქნა და არ მოისპო ჩვენში.

*** ცხინვალი: 16 ამ თვისას, საღამოს ჟამზედ, შეატყობინეს ცხინვალის ბოქაულს, რომ სოფ. თორმნეულში (ოსების სოფელია) ცხინვალიდგან 13 ვერსის მანძილზე, ხოლერა გაჩნდა და მოგვეშველეთო. ცხინვალის ბოქაულმაც საჩქაროდ აცნობა აქაურს ექიმს: შეამზადეს სადეზინფექციო წამლები და გაუთენებლივ აიჭრნენ ავადმყოფების სანახავად, მაგრამ ამბავი ტყუილი გამოდგა, ციებ-ცხელებით გამხდარიყვნენ. ხალხს უფრო იმიტომ შეშინებოდა, რომ ჭიათურიდგან წამოსულიყო ერთი მუშა ოსი, რომელიცა გზაზედ მომკვდარიყო. რა-კი ჭიათურიდგან ხმა ისმის ხოლერისა, დააჰეშმარიტეს სწორედ ხოლერით მოკვდებოდაო. ექიმის შემოწმებით, ის ოსიც წყალსა თუ ადგილს დაეცადნა და იმითი გარგაცვლილიყო.

ხოლერისგან-კი დაგვიფაროს ღმერთმა და ციებ-ცხელებამ სწორედ დიდად შეგვაწუხა, მერე ისიც ახლა, როცა სარჩოს დაბინავების დროა.

*** იქიდამვე: ამ ხანად ჩვენსკენ კაი დარებია. ღვინის მაზანდამ ამ ერთ თვეში ძრიელ აიწია: რომელი ღვინოც 6—7 მანეთად იყიდებოდა, დღეს 10—11 მანეთი ფასობს. ჭირნახულის ფასიც აგრეთვე: თუ ვისმე აქვს გასასყიდი ოთხსა და ხუთს მანეთს აფასებს კოდსა.

გაზეთ Нов. Время-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ტფილისიდგან:

როცა მგზავრი პირველად უახლოვდება ტფილისს, აგონდება ათასი თქმულობა ამ ქალაქის სიმშვენიერისა, ბაღებისა; აგონდება ქება მისის ჩინებულის ჰავისა და სხვ. ერთის სიტყვით, მგზავრი ჰფიქრობს, ეხლა-კი სრულს ნეტარებას ვიგრძნობ ამ ქალაქშიო. მაგრამ ეს იმედი წამსვე უქარწყლდება, ფეხს შემოდგამს თუ არა ამ კურთხეულ ქალაქში. ატყობს, რომ ტფილისის ქუჩების მორწყვა ფიქრადაც არავის მოსდის, ჰაერი გაჟღენთილია მტვერით. ეხლა ბაზრებსაც გადაჰხედეთ... ისეთი უსუფთაობა სუფევს, რომ კაცი ვერ წარმოიდგენს... საცოდავ მტკვრისთვის დაუვალებიათ შთანთქას ყოველ გვარი ნაგავი და სიბინძურე. არის ტფილისში, მაგალითად, თათრის მოედანი, სადაც სახლები ერთმანერთზედაა მიყრილი; ამ სახლების ეზოებში ისეთი ბინძურობაა, რომ გაგიკვირდება, აქ როგორა სძლებს ადამიანი და სუნით რატომ არ იხრჩობაო. შარშან, როცა ტფილისში ხოლერა მძვინვარებდა, თათრის მოედანში 600 კაცამდე იმსხვერპლა; მაშინ ეს მოედანი ცოტათი მოასუფთავეს, მაგრამ წელს ისევ ისეთი ბინძურობაა, როგორც უწინ იყო. ამას წინად ტფილისში მთელი სასაფლაო გაეთხარათ აგურის ქარხნისთვის და შემდეგ ეს სასაფლაო საძოვარ ადგილად გადააქციეს.

## დამოკვირდი

კარგია, თუ დვაწლ-მოსილი ხარ, მაგრამ ისიც კარგია, თუ დვაწლ-მოსილის პატივის-ცემა გაქვს.

დრესეკი

**

ძალ-მომრეობას უფრო ადვილად იტანს კაცი, ვიდრე უსამართლობას.

ვოლტერი

**

დანა დანის სალესავია და ჭკუა ჭკუისა.

ალ-ხარიზი

## შემოწირულობა

გიგზავნით 181 მანეთს და გთხოვთ გადასცეთ „ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.“ ეს ფული შეგროვდა. ჯალალოღლში ცირკის წარმოდგენის გამართვით. ცირკის დირექტორი ბ-ნი მაკსი დავაყაბულეთ, ნახევარი ხარჯი ეკისრა და შემოსავალის ნახევარი ჩვენთვის დაეთმო. მთელმა სამხედრო ბანაკმა და საგარაკოთ მოსულმა საზოგადოებამ დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა ამ საქველ-მოქმედო აზრით გამართვის წარმოდგენას. არ ვინ არ დაიშურა, ვისაც-კი მივმართეთ, თავისი შრომა საქმის უკეთესად წასაყვანად.

ამ თანაგრძნობის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ამ პატარა დაბაში „ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ წილად ხვდა 244 მან. 95 კაპ., ხარჯი იყო 63 მ. 95 კაპ. აი რამ მოითხოვა ხარჯი: საკუთრად ცირკის გამართვა, ბაირაღებით და ფანრებით მორთვა, ბუფეტის გამართვა, ბუფეტისთვის ცალკე მუსიკის მოსწვევა, სახელმწიფო გადასახადი ბილეთებისა და სხვა წვრიმალი ხარჯი. წმინდა მოგება პრემიებით დარჩა 181 მანეთი. დასასრულ არ შეგვიძლიან გულითადი მადლობა არ განვუცხადოთ იმათ, ვინც თავისის დახმარებით ესე კარგად განახორციელეს წარმოდგენის აზრი.

აი ეს პატივცემულნი პირნი: კნ. მარ. თეიმ. ბარათაშვილისა, ნ. ი. ალექსი-მესხიევისა, კნ. მ. კ. ვაჩნაძე, m-lle საკარ და ნინო მაქარაშვილისა. თავ. კონ. ბიძ. ერისთავი (რომელმაც დაგვითმო მუქთი მომღერლები და ზურნა).

ვიმეორებ კიდევ, ამათი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ამ ქვეყანაში სადაც ქართველობა ძლიერ ნაკლებად არის, ამ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

ქეთევან ჟურულისა

—

ჩვენ მივიღეთ 6 მან. რუსთაველის ძეგლისასარგებლოდ. აი სია შემომწირველთა: შიო დედაბრიშვილი 1 მ., ანდრია ჟულკოვსკი 1 მ., რ. რ. მირიანიშვილი 1 მ., ვლ. ხელაშვილი 70 კ., ვასილ მაისურაძე 60 კ., თ. მირიანიშვილისა 50 მ., ა. კიკნაძისა 50 კ., ე. მიქელაძისა 40 კ., დ. მირიანიშვილი 30 კ.

## კორესპონდენცია

—

თელავი, 16 სექტემბერი. თანდათან უკან-უკან მიდის ჩვენში ხვნათესვა და მეურნეობა. არც არის გასაკვირველი, რომ მიწა სასურველს ნაყოფს აღარ იძლევა;—რაც არ მიგვიცია—ვერ მოვსთხოვთ! როცა ნიადაგი გახრიოკებულა, სინოყივრე გამოსცლია, უსასუქოდ ნაყოფიც აღარ მოუცია-რა. შრომა აუარებელი მიდის მამულის შემუშავებაზე. მაგრამ ოფლის შესაფერი ნაყოფი-კი არსად ჩანს.

ვაზის ობი თავისას არ იშლის და სეტყვაც არ გვეხსნება, ამასთანავე ბოსტნეულობას რაღაცა ავადმყოფობა გასჩენია—გლეხკაცობა „წერნაგს“ ეძახის; ახლო მომავალში—კიდევ ფილოქსერა გვემუქრება შემოსევას. მაშინ ხომ სულით ხორცამდის დავიღუპებით!

ეს სენი რომ უეჭველად შემოგვერევა, ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა. იმერეთსა და კახეთს შორის მუდმივი მისვლა-მოსვლაა. კახეთში ძალიან ბევრი იმერლები არიან, რომელნიც ვენახებს აკეთებენ. თითქმის ყოველ წელს ისინი სამშობლოში მიდიან და უკანვე ბრუნდებიან—უეჭველია, რომელიმე მათგანი მოიდევნებს ფილოქსერის ჭიას და მოსდებს მთელს კახეთსს. ვინ იცის? იქნება შემოტანილიც იყოს ეს მწერი; თუმცა ორი საფილოქსერო დასი მუშაობს თელავის მაზრაში, მაგრამ, როგორც ამბობენ, ახლად დაბინავებულის ფილოქსერის ცნობა ძალიან ძნელიაო.

ღმერთმა ინებოს—ვიდრე უებარს გამკლავებულს ღონი-ძიებას არ მოიპოვებენ ფილოქსერის წინააღმდეგ—იგი არ გვესტუმროს! ამისათვის საჭიროა—ყველა მემამულე ფრთხილად მოიქცეს და იმერეთიდგან მოსულთ დეზინფექცია გაუკეთოს საჭირო წამლებით. ამითი მაინც დავიცვათ თავი ჯერ-ჯერობით ამ ვაზის სენისაგან, თუ არ გვინდა სამუდამოდ გავნადგურდეთ! პურის მოსავალმა, რამდენი ხანია ძალიან იკლო, ღვინო-და გვრჩება საცხოვრებელ წყაროდ და ამასაც რომ გამოვესალმოთ—წყალი მოვა და წაგვიღებს!..

მამულის შემუშავების საქმე იმიტომ უფრო დაქვეითდა, რომ ჩვენში სულ არ მოიპოვებიან მცოდნე მეურნენი. ერთი ორი რომ იყოს, უეცს მეზობელს შეძლებოდა მცოდნეს მაგალითებით ეხელმძღვანელნა და ჯეროვანად წაეყვანა მამულის საქმე. ამისთანა უნუგეშო მდგომარეობა მაშინ ათასში ერთს კეთილს რჩევის მომწვდელიც გამოგვიჩნდება ხოლმე, როგორც, მაგალითად, აქაურ საფილოქსერო დასის მეთაური აგრონომი ბ-ნი ინანაშვილი, რომელიც ყოველ წლობით კითხულობს თელავში ლექციებს მეურნეობის შესახებ. წელსაც გვქონდა შემთხვევა ბ-ნ ინანაშვილის ლექცია მოგვესმინა. ბ-ნი ლექტორი შეეხო ფრიად საყურადღებო საგანს—ყურძნის მოკრეფის და ღვინის დაყენების რიგსა და წესს. სხვათა შორის საყურადღებოა შემდეგი: ბ ნ ინანაშვილის აზრით კარგი იქნებოდა ყურძენი დაეწურათ მის მიერ მოგონილს ნავში. ამ ნავის ნიმუში (მოდელი) კიდეც უჩვენა ლექტორმა დამსწრე საზოგადოებას.

ნავი ჩვეულებრივია, ისეთი, როგორსაც ჩვენში ვხმარობთ, მხოლოდ ნავს ზემოდამ ეხურება ფიცარი. ეს ფიცარი მთლად დახვრეტილია იმდენად, რომ ყურძნის მარცვალი თავისუფლად გაივლის. ზედ ჰყრიან ყურძენს და ხელით შეუდგებიან ჰკლეტას. დაჰკლეტილი მარცვალი, როგორათაც წვენი, ნავში ჩადის და მტევნების კლერტები-კი ზედა რჩება.

---

წინააღმდეგ კანონისა. ხოლო როდესაც ორასი და სამასი ოჯახი რჩეობს უკანონო მოქმედებას, იქ ყოველთვის და უეჭველად საგულისხმოა რაიმე შესაწყნარებელი საბუთი. ასეთი საბუთი რომ გაჰხსენებოდა ვისმე, არც გაუძნელდებოდა მისი მოძებნა და პოვნა. ეს საბუთი არის გაჭირვება. მართლაც, უმთავრესად ისინი დასახლდნენ ქალაქის მიწებზედ, ვისაც გასჭირებით გატანა თავის ოჯახისა და წვრილშვილისა სამშობლო ქალაქში, სადაც ყველაფერი ერთიორად ძვირია, ნამეტნავად-კი თავშესაფარი, და სადაც ამის გამო ცხოვრება სახუმრო საქმე არ არის. მართალია, უბან „ნაძალადევში“ იმათაც გაიკეთეს ბინა, ვისაც ნაკლებ უჭირს ცხოვრების სახსარი, მაგრამ ამისთანები იშვიათია და უმეტესობა-კი წარმოადგენს ყოვლად ღარიბ მუშა ხალხს, რომელიც დღე დღიურად ძლივს გამოდის ამ წუთის სოფელში. ამ ხალხს გაუძნელდა სახლის ქირის ძლევა, რადგან ეს ქირა სივიწროისა გამო წლითი-წლობით მატულობს. ქალაქი ზრდაში ჩავარდა, მცხოვრებთა რიცხვი მატულობს, მუშა ხალხის რაოდენობა იზრდება და მათთვის სადგური-კი შედარებით ნაკლებად არის. მუშა ხალხი მოიმწყვდა ნესტიან სარდაფებში, სადაც ათას გვარი ჭირი მიესია მის ოჯახობას, მის წვრილშვილს. ერთად-ერთი ხსნა იყო მამულები კერძო მოქალაქეთა. ამ მამულებს მიაწყდა დიდ ძალი მუშტარი ❦ მიწის ფასებმა ერთი ათად იმატა. რაც-კი გამოსადეგი მამულები ჰქონდათ კერძო პატრონებს, თითქმის სულ გაიყიდა სიახლოვეს. გაუყიდავი დარჩა მხოლოდ დაშორებული ადგილები, როგორც მაგალითად ბებუთოვების მამული მახათაზედ ანუ ვერის დაშორებულ ნაპირებში. დაუჭერელი იყო ახლო-მახლოდ მარტო ქალაქის მამულები. ქალაქმა ამ ხუთის წლის წინად შეიგნო ხალხის გაჭირვება და ვოგზალის დაშორებით გაჰყიდა ოც-და-ათამდე ნაჭერი მიწა. საჟენი მანეთად გაიყიდა. ხუთის წლის შემდეგ-კი ისე გაძვირდა მიწა, რომ იმავე ადგილას წელს საჟენი მანეთად დაიტაცეს წლიურ იჯარით. ეხლა თქვენ თვითონ გასინჯეთ, რამდენად გამწვავებულა საქმე, რომ ხუთის წლის განმავლობაში წლიური იჯარა საჟენზედ მანეთამდის ავიდა, მაშინ როდესაც ხუთის წლის წინად საჟენი იყიდებოდა სულ ერთ მანეთად!..

**

ამ აშკარა გაჭირვებას პატრონობა უნდა. მდიდარი მოქალაქე თავის თავს თითონაც კარგად უპატრონებს. ხოლო ღარიბ ხალხის პატრონობა უნდა შეადგენდეს უპირველეს და წმინდა მოვალეობას ქალაქისას. თვით ჯან-მრთელობა მთელის ქალაქისა მოითხოვს, რომ თვით-მართველობამ ცხოვრების სახსარი ამოუჩინოს შეუძლებელს ხალხს, რომელიც დღეს არას იხვეწება იმის მეტს, რომ ნება მისცენ თავის ხარჯით გაიკეთოს თავშესაფარი ისეთს ადგილს, სადაც ჰაერი მაინც მოუშხამავი და სუბთა ექმნება. თანაც ასეთს უფლებას იგი მუქთად როდი თხოულობს. იგი ეუბნება ქალაქს: მაგოდენა მამულები მუქთად გიყრია, შემოსავალი არა გაქვს-რა. მოახერხე ისე, რომ შენც ირგო და მეც მარგოვო. შემოიღე ისეთი საადვილო წესი, რომ ქალაქის ღარიბ ხალხს შეღავათით გამოართვა მიწის ფასი, და მტკიცე თავდებობას მოგცემთ, რომ წელიწადში ჩვენგან ქალაქს მიეცემა შემოსავალი სამი-ოთხი ათასი თუმანი და იქნება მეტიცაო.

მართლაც-და, ეს ლიტონი სიტყვები არ არის. თუკი ნება-დაურთველად სამასმა კომლმა გააკეთა ბინა „ნაძალადევში“, უეჭველია, როდესაც ქალაქი უფლებას მიანიჭებს, ერთიათად ამაზედ მომეტებული ხალხი დასახლდება კუკიის გახრიოკებულ მთებზედ. ამით ქალაქის შუაგულიც დასუფთავდება და აღარც დღევანდელი მჭიდროობა იქმნება.

იტყვიან — ქალაქის სარგებლობა მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მომეტებული შემოსავალი გაიჩინოს თავის მამულებისაგანო; ამის გამო უნდა დაინიშნოს ვაჭრობა და ვინც მეტს მისცემს, ადგილიც იმას დარჩესო. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით პირველ ნახევარს ამ წინადადებისას და სრულიად ვეწინააღმდეგებით მის მეორე ნახევარს, როგორც შემცდარს. ვაჭრობას რომ მივყვეთ, გამოვა, რომ ათასის საჟენის მაგიერად ორმოცსაც ვერ გავცემთ იჯარით, გინდა საჟენში თითო მანეთიც მოგვცენ ქირა, და ამ სახით, მართალია, თითო საჟენი ძრიელ დიდ ფასად ეღირება, მაგრამ ქალაქის მიწების შემოსავალს მოემატება წელიწადში მხოლოდ ოთხი თუმანი; მაშინ როდესაც ათასი საჟენი ორ-ორ შაურობაზედაც რომ გაიცეს, ქალაქს მოემატება წელიწადში ათი თუმანი. გარდა მაგისა, საჟენზედ მანეთს მისცემს მხოლოდ შეძლებული მოქალაქე და შეუძლებელი-კი წრეს გარეშე დარჩება.

ამის გამო ჩვენი თვით-მართველობა თითო საჟნის სიძვირეს-კი არ უნდა გამოეკიდოს, არამედ უნდა ეცადოს მომეტებული ადგილი გასცეს და, რაც იაფად გასცემს, მით მომეტებულს მუშტარს იშოვნის და აქედგან მომეტებულს ფასსაც აიღებს.

ამიტომ საჭიროა ქალაქის საბჭომ ამოირჩიოს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა მიანდოს ეს საქმე და დაავალოს გამოკვლევა და გამოანგარიშება, რა უფრო სასარგებლო იქმნება ქალაქისთვის—იჯარით გაცემა მამულისა თუ გაყიდვა ნაჭერნაჭერ. ჩვენის აზრით, გაყიდვა ბევრით უმჯობესი იქმნება, რადგან იჯარის აღება არ არის საადვილო საქმე. ამასთანავე, მიწის ფასი უნდა დაინიშნოს მცირე, რომ უფრო ბევრმა მოახერხოს სყიდვა. მამულის სყიდვის უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ უსახლკარო და უმამულო მცხოვრებს.

ამ საგანზედ კვლავაც გვექმნება მსჯელობა და ამიტომ დღეს ვიკმაროთ ნათქვამი.

მოქალაქე

კლერტებს აშორებენ და სხვა საჭიროებისათვის ჰხმარობენ, მაგალითად მიწის სასუქად და საქონლის საჭმელად.

შიგნით ნავი ისეა მოწყობილი, რომ მხოლოდ ყურძნის წვენი ჩადის ძირამდის, ჩენჩოები-კი ზევითა რჩება. თუ ვინიცობაა ყურძნიდამ წვენი მთლად არ არის გამოტანილი—შეიძლება კიდევ ფეხით დაიჭყლიტოს.

უკლერტოდ დაყენებული ღვინო, ბ-ნ აგრონომის შეხედულობით,—ძალიან კარგის გემოვნებისაა, რადგანაც კლერტს მავნებელი თვისება თურმე აქვს და სიმწკლარტეს აძლევს ყურძნის წვენს. ლექტორმა განმარტა, რომ, ჩემის რჩევით, კნ. ნინო სოლომონის ასულმა ანდრონიკაშვილისამ (ბაკურციხეში) ამ რიგად დააყენა ღვინოო და მართლა რომ კარგი შედეგი ჰქონდა ამ მოგონებასაო. ეხლაც კნ. ანდრონიკაშვილისა სწორედ ხსენებულის წესით აყენებს თავის ყურძნის წვენს და სირაჯები, არამც თუ უფრთხიან, არამედ ძალიანაც ეტანებიან იმის ღვინოებსაო.

კახეთის მოამბე

---

**რუისი:** ჩვენს სოფელს ამ ბოლო დროს ქურდ-ბაცაცები შეეჩვივნენ. შეშინებულია ხალხი, კაი ცხენი და ერთობ საქონელი ვერავის შეუნახავს, მაშინვე ქურდები იმას გამოარჩევენ. ამიტომ აქ გავრცელდა „ჯაგლაგების“ ყოლა და კაი ტახტის აზნაურის შვილსაც არ ეუკადრისება „წისქვილზე დასაფქავი“ ცხენი ჰყავნდეს.—ამისთანას ვერ წაიყვანენ შორსაო! მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვია, მაგრამ აქაურებმა-კი ცხენები გააწყვეს ქურდების შიშით.

ქურდობაზე არა ნაკლებ შეწუხებულები ვართ უწყლობისაგან. გაგონილა და თქმულა, აგერ ენკენისთვე მიდის და მარცვალი არ დაგვითესია ხნულების მოურწყაობის გამო. ზემო სოფლელები წყლებს გვიწყვეტავენ. ისინი თურმე შიგა თევზაობენ და ჩვენ მინდორში საქონელი უწყლოდ გვეხოცება და დღეში ორჯერ სოფლის შუაგულ წყაროში შემოგვიდის და ვსცდებით. ღვთით, ეხლა, თუმცა გვიანაა, ხასადარი (მერუეთა უფროსი) მერუეებით წასულა იმ სოფლებში, სადაც წყალი გამოდის, შეუკვეთებინებიათ ბევრის ხალხისთვის რუს ნაპირები და დაუვალებიათ ახლო-მახლო სოფლის მამასახლისებისათვის, ყური უგდონ თავიანთ ხალხს, რომ ეგება წყალი აღარ დაუწყვიტონ რუისელებს. თავად წლეულს ვერაფერი მოსავალი მოვიდა, ეხლავე კოდი პური ოთხ მანეთს ნაკლებ არ იყიდება და მერე უფრო რა იქნება. გასაყიდსაც ვერა შოულობს ადამიანი: ყველა იმასა ჩივის, ჩემთვინაც არა გამივიდა-რაო, რა გაყიდვისა მცხელაო.

რუისის სკოლაში ამ რამდენიმე წლის წინად შეგირდს ქალებს ხელსაქმეს ასწავლიდნენ. ეს კეთილი საქმე ჩაიშალა უსახსრობის გამო. რუისში რამდენიმე ახალგაზდა მომზადებული ნასწავლი ქალი მოიპოვება, მაგრამ ერთიც ვერ დაითანხმეს, რომ ხელსაქმე ესწავლებინათ სკოლის შეგირდ ქალებისათვის.

ერთი კაი ამბავიც: რუისიდან ქარელის სადგურამდინ დღევანდლამდე ძლიერ უხეირო გზა იყო. სათუო იყო ადამიანის ამ გზაზე გახწევა უვნებლად და უხიფათოდ. დღეს-კი ადგილობრივ მამასახლისის თაოსნობით მშვენიერი გზა-ტკეცილი კეთდება.

ჩვენში ღვინის მოსავალი შუათანაზე ნაკლები იქნება წელს. უფრო-და უფრო ემჩნევა ნასეტყვარი, ყურძენი ჯერ ცოტა ასხია და ისიც არ მწიფდება. ყველა მოსავალს სიმინდმა აჯობა, მარტო ამას ჰქონდა ამინდი.

აქ რამდენიმე სახნავი მიწაა, რომელსაც „ნაბამბარი“ ეწოდება. როგორცა სჩანს და მოსწრებულებიც ამბობენ, აქ ერთ დროს ბამბა უთესიათ. დიდათ დაავალებს რუისის საზოგადოებას, ვინც შემწეობას გაუწევს და აუხსნის, თუ როგორ და სად იშოვოს ბამბის თესლი, რომ კიდევ ეცადნენ მის მოყვანას. *)

მზე-ჭაბუკი

---

## ხალხური ლექსი

(მეთვალყურეს-მიერ ჩაწერილი)

ერის კაცი ბევრათა სჯობს
ზანტსა ზარმაცსა ხუცესსა;
ნამუსიანი გონჯი სჯობს
ტურფას ურცხვსა და უკმეხსა.

—

ისე, ვით დღისა ყურება,
სჯობს ას წელ ბნელში გდებასო,
ისე, წამს სამშობლოში სჯობს
ათას წელს უცხოთ ყოფნასო.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშვალებით მადლობა გამოვუცხადოთ ოზურგეთის ქართულ სცენის მოყვარულთ, რომელთაც 17 აგვისტოს ოზურგეთში ჩემდა სასარგებლოდ წარმოდგენა გამართეს. წმინდა შემოსავალი, 92 მ. 24 კ., უკვე მივიღე.

სტუდენტი ს. გოგიტიძე

კიევი
14 სექტემბერი

---

# რუსეთი

—

1884 წლის აქეთ სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს 40 დაბალი სამეურნეო სკოლა დაუარსებია რუსეთის სხვა და სხვა ადგილს. წელს დაარსდება კიდევ ათი ამისთანა სკოლა.

—

გაზეთი С-Петерб. Вѣд.-ი რუსეთ-გერმანიის საბაჟო ხელ-შეკრულობის გამო ამბობს, რომ დიდის ხნის გამოცდილებამ საკმაოდ უარჰყო პროტექციონისტთა აზრი და ამიტომ ამ უკანასკნელ დროს სადამოჟნო პოლიტიკა სხვა გზას დაადგაო.

„სამშობლოს ბაზრები სამშობლოსავე ნაწარმოებისათვის—აი რა იყო უკანასკნელ დრომდე „ნაციონალურ პოლიტიკის“ დევიზად, ამბობს გაზეთი. ხოლო „შეიარაღებულმა მშვიდობამ,“ რომელიც იმაში იხატებოდა რომ შინაურ ბაზრებზედ უცხოეთიდგან მოტანილი საქონელი არ გაეტარებინა, გამოაშკარავა მაშინ მეტადრე, როცა ასეთს პოლიტიკას სხვა სახელმწიფოებიც დაადგნენ, რომ აღკრძალვა უცხო საქონლის შემოტანისა შინაურთათვისაც მავნებელია. ამ მიზეზით აღებ-მიცემობა ერთა შორის შემცირდა და განაღდება იმ საქონლისა, რომელიც კეთდება უცხო ქვეყნებში წასაღებად, გაძნელდა. ჩვენ დავკეტეთ ჩვენი ბაზრები უცხო საქონლისათვის, ხოლო ამ დაკეტვით ის ვერ ავიღეთ, რაც დავკარგეთ უცხო ბაზრების დაკარგვით. ეს გარემოება მით უფრო საზარალოდ აღმოჩნდა, რომ ყოველი ქვეყანა საზღვარ გარედ იმ ნაწარმოებს უნდა ჰგზავნიდეს, რომელიც თვითონ ძვირად არ დასჯდომია...

ერთის შეხედვით, ის მიზეზი, რომელმაც „ომი“ გამოიწვია გერმანიასა და რუსეთს შორის, მეტად გასაკვირველია. პირველი სცდილობს „მოაშოროს“ თავის ხალხს იაფი პური, რომლითაც ის იკვებება, ხოლო მეორე—მოუსპოს იაფი ნაწარმოები. ამბობენ, ამით მფარველობას ვუწევთ, ვეხმარებით ხალხის შრომასა და ერის თაოსნობასაო.

ჩვენს პროტექციონისტებს 1891 წლის საბაჟო ტარიფი წმიდა წმიდათად მიაჩნიათ და მის წინააღმდევ ხმის ამოღება—მომაკვდინებელ ცოდვად. ისინი ამბობენ, რომ ამ ტარიფით ყველა ნაირ შრომას, წარმოებას მიზომილი აქვს თავისი ადგილი, მიწონილი აქვს თვისი ხვედრი, ყველა ერთგვარ მფარველობის ქვეშ არისო. ეს აზრი ყოვლად შეუსაბამოა, თუნდა იმიტომ, რომ დღითი-დღე ყოველს კუთხეში შრომისა და წარმოების ვითარება იცვლება. 1891 წლის აქედ ბევრი რამ შეიცვალა. ორის წლის მოუსავლობამ ცხადად დაგვანახვა, რომ მხვნელ-მთესველს არ შეუძლიან შესწიროს მომავალს ის მსხვერპლი, რომელსაც ვალადა სდებენ. მეორე მხრივ, როგორც უკვე გამოირკვა, საბაჟო მფარველობამ მრეწველობის გაძლიერებასა და აღორძინებას-კი არ შეუწყო ხელი, წარმატების გზაზედ-კი არ დააყენა, არამედ მწარმოებელთ მისცა ნება ყველა ნაწარმოებზედ ფასი აეწიათ, მამასისხლად ეყიდნათ. ამით კიდევ თანხა დ თაოსნობა ააშორა უფრო მცირე გამოსავლიან საქმეს—მეურნეობას. ეს გვაგონებს სანთელს, რომელსაც ორთავე მხარეს მოუკიდებენ. ერთის მხრივ ართმევენ ძალას, რომელიც საჭიროა წარმოებისათვის, და მეორე მხრივ-კი ძალას ატანენ, სამჯერ ძვირად იყიდე სამრეწველო საქონელიო. თუ უცხო ქვეყნის რომელსამე იაფ ნაწარმოებს ბაზარი ეთმობა ჩვენში, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთისა და ორის მექარხნის წყენას ეგრე რიგად არ ერიდებიან. საერთოდ-კი ეს ბატონები მზად არიან დაივიწყონ, რომ მეურნეობა ჩვენს სამშობლოში სწორედ ის «მუხაა», რომელსაც ძირი არ უნდა გამოეთხაროს თვისდა სასარგებლოდვე, თუ კარგად შეგნებული აქვთ თავისი ინტერესი.“

---

# უცხოეთი

—

გერმანულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშები იმპერატორის ვილჰელმისა და კანცლერად ნამყოფის ბისმარკს, კისინგენში.

გიუნს, 7 (19) სექტემბერი. თავ. ბისმარკისა.

„მხოლოდ ეხლა შევიტყე, რომ სამწუხაროდ, ავად ბრძანდებოდით. მაგრამ, რადგანაც ისიც შევიტყე, რომ თანდათან ინკურნებით თქვენის სენისაგან, ძლიერა მოხარული ვარ ამ ამბის გამო. ამასთანავე, რადგანაც ვარცინისა და ფრიდრიხსრუეს ადგილი ჰავის მხრივ სასარგებლო არ უნდა იყოს თქვენის ჯანმრთელობისთვის, გთხოვთ რომელიმე ჩემი სასახლე აირჩიოთ საცხოვრებლად შუა გერმანიაში. რა წამს მომივა პასუხი ჩემის ჰოფმარშალისაგან, დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ, რომელი სასახლე იქნება თქვენთვის არჩეული“

ვილჰელმ

კისინგენი, 7 (19) სექტემბერი. მის უდიდებულესობას, გერმანიის იმპერატორს, გიუნსში.

„უმდაბლესად გმადლობთ, თქვენო უდიდებულესობავ, თანაგრძნობისა გამო, მაგრამ თუ განგების ნებით სრულიად კარგად შევიქნები, ჩემის აზრით ამისთვის საჭიროა ვიცხოვრო ჩემს ძველ ბინაზედ, რომელსაც სიყრმიდგანვე შევეჩვიე. ასეთისავე აზრისაა ჩემი ექიმიც და ჰფიქრობს, რომ ჩემის მოხუცებულობისა და სისუსტის გამო, ეხლა ძლიერ ძნელი იქნება გადასახლება უცხო ადგილას. პროფესორი შვენიგერი წერილით მოგახსენებთ ჩემსა და თავისს მოსაზრებას ამ საქმის შესახებ.

ბისმარკი

---

## ზოლას-მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო

ინგლისის ჟურნალისტთა კრებაზედ ზოლამ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა პარიჟის ლიტერატორთა სახელით: „სხვა-და-სხვა ერთა უთანხმოებაზედ, ძალადობაზედ, ომზედ და შუღლზედ მაღლა არის უზენაესი სამეფო, სამეფო კაცობრიობის ინტელიგენციისა, სამეფო ლიტერატურისა. ამ სამეფოში ხელი-ხელს აწვდიან ჩვენი მოლიერი და ჩვენი კორნელი თქვენს შექსპირსა; აქვე არიან გეტე და დანტე. აქვე ხელი-ხელს აწვდიან ძველნი და ახალნი მწერალნი ყველა ერისა—ჰომეროსი, ვირგილიუსი, სერვანტესი, ბაირონი, ვიქტორ-ჰუგო. აქ ერთი სამშობლოა ყველა გენიოსთა და ნიჭიერ კაცთათვის.

თქვენ მოისურვეთ, ამ კრებას დასწრებოდნენ წარმომადგენელნი ყველა ერის მწერლობისა, და განა ეს ჩვენი კრება არ წარმოადგენს დიდს დღესასწაულს ლიტერატურისას? სასურველია, ამ დარბაზში მაინც დავივიწყოთ შური და შუღლი ერთმანეთისა, რომ ოდესმე მთელის ქვეყნისა და სხვა-და-სხვა მიმართულების ლიტერატორნი ერთს ოჯახს შეადგენდნენ, რომ არ არსებობდეს არავითარი განსხვავება სხვა-და-სხვა მიმართულების მწერალთა შორის.

განა სულ ერთი არ არის, რომელ დასს ეკუთვნის მწერალი, ოღონდა განძი რამ შესძინოს თავის ერსა! რომელი ერი იტყვის, ეს მწერალი დავივიწყოთ, რადგანაც სხვა დასს ეკუთვნოდა. განა რაბლეს სახელი ხელს უშლის რასინის სახელსა? ან ლამარტინის გამო უარვყოფთ ბალზაკსა? ისტორია ერის ლიტერატურისა ერთს და იმავე დროს ისტორია მთელის ერისა, მისის ვნებათა ღელვისა, ბრძოლისა, დამარცხებისა და გამარჯვებისა.

ბატონებო, მე ვსვამ სადღეგრძელოს უკვდავ ლიტერატურის სამშობლოისას! ვსვამ სადღეგრძელოს ყველა დიდებულ მწერალთა, რომელთა ძმობა და ერთობა დაჰბადეს ჩვენს გულში! ვსვამ სადღეგრძელოს ყველა გონიერისა და ნიჭიერის მწერლისას! ვსვამ სადღეგრძელოს კაცობრიობის ინტელიგენციისას, ქვეყნის უზენაესის სამეფოისას.

---

## ჩიკაგოს გამოფენა

გამოფენაზედ ძლიერ საყურადღებოა განყოფილება შინაურ საქონლისა. არის მაგალითად რამდენიმე უზარმაზარი ბუღა, თითოეული წონით 75 ფუთი.

ამერიკის ერთს გამოჩენილს ელექტროტეხნიკოსს, გვარად გრეის, მოუგონია ერთი საოცარი მანქანა—ტელეაუტოგრაფი. ეს მანქანა გაცილებითა სჯობიან ტელეგრაფსაცა და ტელეფონსაც. ამ მანქანას ორი კოჰი აქვს. კოჰებზედ ქაღალდი ახვევია. მოისურვეთ, მაგალითად, საყვარელ მეუღლეს წერილი მისწეროთ, რომელიც სადმე ორი-ათას ვერსის მოშორებითაა; დაბრძანდით და დასწერეთ. წერილი წამსვე მეორე კოჰზედ დახვეულ ქაღალდზედ იწერება.

საკვირველია აგრეთვე წიწილების გამოსაჩეკი ელექტრონის მანქანა, მანქანაში კვერცხებს ჩააწყობთ და 19—20 დღეს წიწილები თავის-თავად გამოიჩეკება.

კარგია კიდევ ახლად მოგონილი წაღების საწმენდი მანქანა. შესდგამთ ფეხს მანქანაზედ და დანიშნულ ადგილას წვრილ ფულს ჩააგდებთ. წამსვე გამოხტება ერთი ჩოთქი და წაღას ვაქსს წაუსვამს; მერე მეორე ჩოთქიც გამოხტება და ისე გაგიკრიალებთ წაღას, როგორც არც ერთი ბეჯითი მოსამსახურე.

გამოფენილია კიდევ საკერავი მაშინები, რომლებსაც ელექტრონი ამუშავებს, მაგრამ ეს ახალი ამბავი არ არის.

არის გამოფენაზედ ერთი უზარმაზარი ხის ჰურჰელი. ამ ჰურჰელისთვის ერთი ხე მოუჭრიათ, რომელსაც 60 საჟენი სიმაღლე ჰქონია. ეს ხე რომ მოსჭრეს და დახერხეს, 300 ათასი ფუთი ფიცარი გამოვიდა.

---

## ბიბლიოგრაფია

—

ჩვენ მოგვივიდა მე-V წიგნი ჟურნალ „ჯეჯილისა“, შემდეგის შინაარსით:

ჰრიჰინა და ტოტი, ლექსი—თ. რაზიკაშვილისა; ახალი კურტკის ბედ-იღბალი, (ფრანგულიდგან)—ან. თ.-წ—სა; ვერხვი, ლექსი—დუტუ მეგრელისა; პატარა ხანუმა, (სოფლის ცხოვრებიდან)—თ. რაზიკაშვილისა; გუგული, ლექსი—თეოფ. კანდელაკისა; თავ-დადებული მღვდელი,- (ისტორიული ამბავი)—იაკობ სვიმონიძისა; ძერა და მელია, (ხალხური ლექსი ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ); ყვავილების ნადიმობა, (ზღაპარი)—ლ. ორპირელისა; სამი სურათი,—ლექსი შ. მღვიმელისა; წიგნის ამბავი—ლუარსაბ ციციშვილისა; მოსწავლეს—ლექსი დიმიტრი მაჭავარიანისა. გარაღოჟი, (ზღაპარი, წარმოდგენილი ნ. ყ. მიერ); რძიანა მცენარეები,—ილიკოსი; იოსების თავგადასავალი,—წყალტუპელისა; მეგობრების დევნა—ი. სვიმონიძისა; სამ ქვა-გაჰრიანა თამაშობი და პატარა ელენე; ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსი, ზმა, ჩქარა გამოსათქმელი, აკროსტიხი, მათემათიკური გამოცანა, შარადა და რებუსი.

---

*) ბამბის თესლის შოვნა შეიძლება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში.

რედ.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუკვეთნია ფრანგ ინჟინერ ლაშამბრისათვის ოქროს ჭაეროსტატი. ქსოვილის მაგივრად მთელი ბურთი, რომელშიაც გაზია, გამოკვერილი უნდა იყოს მთლიან ოქროსაგან. თუმცა ძვირად დაჯდება ამ ნაირი ჭაეროსტატი, მაგრამ ოქრო ბევრით სჯობია სიმაგრით ყოველნაირ ქსოვილს: ჭაერი სრულიად ვერ შეატანს, რბილიც არის და არ ტყდება, არც ქარიშხლის დროს და არც მაშინ, როცა დაიგდება. ჭაეროსტატი წყალმბადით იმუშავებს და ამისთვის შიგვე აქვს მანქანა გამართული. ეს ჭაეროსტატი ერთს ადგილს იქმნება მიბმული და მხოლოდ სამეცნიერო გამოკვლევისათვის იხმარებენ, და არა საფრენად.

**

პარლამენტების დეპუტატების ჯამაგირი. გერმანიის პარლამენტის დეპუტატებს ჯამაგირი არ ეძლევა. ავსტრიის დეპუტატი 30 ფრანკს იღებს დღეში ვიდრე სესია გათავდება; ვენგრიისა—5000 ფრანკს ჯამაგირსა და 1650 სახლის საქირავებლად; საფრანგეთისა—9,000 ფრ., ინგლისისა—არაფერს; ნიდერლანდისა—4150 ფრ., ბელგიისა—525 ფრ., ისპანიისა—არაფერს; პორტუგალიისა არაფერს; დანიისა—8 ფრანკს დღეში; საბერძნეთისა—1800 ფრ., რუმინიისა 25 ფრ., დღეში; სერბიისა—10 ფრ. დღეში; ბოლგარიისა—20 ფრ. დღეში; შეერთებულ-შტატებისა—25,000 ფრ. წელიწადში; ეგვიპტისა—90 ლირს ქაირში მცხოვრებნი და 250 ლ. გარეშე მოსულნი.

## გასართობი

### სიტყვა და საქმე

ცოდნისა, ჭკუის პატრონი
დროსა უსაქმოდ ატარებს...
ქარაფშუტა ვაჟბატონი
თავსა ერეკლეს ადარებს.

—

ვინც რომ მთელ დღესა ღვინოს სვამს,
ლოთი, უზნეო, ურცხვია...
ზნეობის მქადაგებელი
ასობით წიგნი უწყვია.

—

ცოლი მთელ დღესა იძახის:
ქმარს როგორ ეღალატება?!..
ღამე საყვარელს მოელის,
ქმარიც სატრფოსთან ბრძანდება

—

პოეტი ამბობს: ციურს ნიჭს
არ გავცვლი ვერცხლის ფულზედა...
რედაქტორი-კი ჯილდოსთვის
ლამის რომ აცვას ჯვარზედა.

—

სხვა რაღა გითხრათ? რაცა ვსთქვი,
ვგონებ, რომ იყოს საკმარი:
სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უზის დიდი ზღვარი.

ვითომ-და პოეტი

## გამოსადეგი ცნობანი

—

მკვიდრი და იაფი სალებავი. ფიცრის ღობე, მარგილები, სკამები და სხვა მოწყობილობა ბაღისა შემდეგის სალებავით უნდა შეიღებოს, რომელიც ზეთიან სალებავს არ ჩამოუვარდება ღირსებით და იმაზედ-კი ბევრად იაფია: უნდა აიღო დაუშლელი ანუ წყალ-დაუსხმელი კირი და ამდენივე ხაჭო. კირი ჩასდო ჭურჭელში და დაასხა წყალი; როცა შენელდება, წყალი უნდა გადასწურო. დაშლილი კირი და ხაჭო კარგად აზილოს და ცოტ-ცოტა გადაწურული წყალი დაუსხას, ვიდრე ნალების სახეს არ მიიღებს,

ეს სალებავი წაუსვას იმას, რის შეღებვაც გინდათ, ორჯერ-სამჯერ. თუ გინდათ რომ თეთრის მაგიერ სხვა ფერის სალებავი იყოს, შეგიძლიანთ აურიოთ ჭოლანდიის ჭვარტლი ანუ ყანგარო. მცენარეულის სალებავი ვერ გამოდგება, რადგანაც კირი სულ გაახუნებს.

თუ გინდათ, რომ შეღებილი საგანი ბრწყინავდეს, როცა კირსა და ხაჭოს ჰზელდეთ, აურიეთ ცოტა გომფისის ფხვნილი (камедный порошокъ).

ამ ნაირი სალებავი მეტად მკვიდრია, ვერც წვიმა და ვერც სინესტე ვერას დააკლებს. ზეთის სალებავზე ბევრად იაფია და იმაზე მალეცა შრება, როცა წავუსვამთ.

# დეპეშა

22 სექტემბერი

**ბერლინი.** რუსეთ-გერმანიის სადამოქნო კონფერენცია გუშინ დაიწყო.

33 სექტემბერი

**ბერლინი.** რუს-გერმანელთა სავაჭრო კონფერენცია იმ ტარიფების განხილვას შეუდგა, რომლის შეცვლა გერმანიამ ითხოვა. სპეციალ სადამოქნო საკითხთა შემუშავება განსაკუთრებულ კომისიას დაევალა.

**კადიქსი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა დეპეშა გამოუგზავნა აქაურ მოხელეთ, რუსეთის აფიცრებს ჩინებულად დაუხვდითო. რუსეთის აფიცერთა პატივსაცემლად, მოსალოდნელია, რომ ხარების ჩხუბს გაჰმართავენ. რუსეთის ესკადრა კადიქსიდგან ორშაბათს წავა.

პეტერბურგის ბირჟა, 21 სექტ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,62 | 7,66 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 152¼ | 153 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 240 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 217 |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 192 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — „ | 100½ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | 100 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — „ | 100¼ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | 100 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97¾ | — „ | — „ |

## „ივერიის“ ფოსტა

**ს—ნი ხ—ს.** თქვენს წერილს ვერ ვბეჭდავთ, რადგან ხასიათი წერილისა არ შეეფერება პოლემიკის წესსა და რიგს.

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დილით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალ-

სამშაბათობით: დილით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დილით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. ქე ახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

—

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—103)

იბეჭდება და გამოვა შემოდგომის დამლევს

ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათებით

## საქართველოს კალენდარი

1894 წლისათვის.

«საქართველოს კალენდარში განცხადების დაბეჭდვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამომცემელს ვალ. გუნიას ქ. ტფილისში სათავად-აზნაურო ბანკში.

ფასი: 1 გვერდი წიგნის თავში 12 მან., ბოლოში 5 მან., ½ გვერდი 3 მან.

(5—5)

## გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო საავადმყოფო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ф პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. შ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. საავადმყოფოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი საავადმყოფოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

„ნევი პარფეუმ“

დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„**კაპრიზ ნევის**“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—12)



**Въ Б. Жуковскій** С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель **А. Брокгаузенъ**

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები მსურველს საჩქაროდ გაეგზავნება.

## კალთა ტუალეტისათვის



**БЕРЕЗОВЫЙ БАЛЬЗАМЪ**
**Д-РА ЛЕНГИЛЯ ВЪ ВѢНѢ.**

იხმარება პირის-სახისა, კანისა და ხელის დასაბანად.

ამ ბალზამის მომზადების დროს ყურადღება იმასა ჰქონდა მიქცეული, რომ კანის მავნებელი წამალი არ შერეოდა.

ფასი ფლაკონისა 1 მ. 65 კ.

ბენზოევის საპნის თითო ნაჭერი 35 და 50 კ., ოპო-პომადა (კოლდ-კრემსა სჯობია) 1 მან.

შეხვევა და გაგზავნა რუსეთს 70 კ., აზიაში 1 მ.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის В. Аурихъ, въ С-Петербургѣ, Колокольная, 18—19.

იშოვება ყველა საaფთიაქო და პარფიუმერიის მაღაზიებში და ზოგ აფთიაქებშიაც რუსეთში.




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე